



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,  
ელ. ფოსტა: [tsagerisakrebulo@gmail.com](mailto:tsagerisakrebulo@gmail.com)

## ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 7  
03/02/2021

7-06-4-202102031312



### 2020 წელში ცაგერის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ინფორმაცია 2020 წელში ცაგერის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ მიღებულ იქნას ცნობად. /დანართი #1 და #2 თან ერთვის/.
2. დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ (მ. ხაბულიანი) მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად მეტი ყურადღება დაუთმოს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების ვადებისა და ხარისხის კონტროლს.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე  
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ინფორმაცია 2020 წელში ცაგერის მუნიციპალიტეტში განხორციელებული

ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ

2020 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტში განხორციელდა და დასრულებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

1. დასრულებულია ქ. ცაგერის ქუჩების მოასფალტების სამუშაოები, რომელიც შეასრულა „შ.პ.ს“ კრისტალმა სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 588 530 ლარს. შესრულებული აქვს 483108,79 ლარის სამუშაოები, რომელიც შეადგენს შესრულებული სამუშაოების 82,1 %-ს.
2. დასრულებულია ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლასურიაშისა და სოფელ მახაშის სასოფლო გზის აღდგენის სამუშაოები, რომელიც შეასრულა შ.პ.ს. „გზასერვისი XXI“ სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 88077 ლარს. შესრულებული აქვს 84850 ლარის სამუშაოები, რაც შეადგენს შესრულებული სამუშაოების 96,3%-ს.
3. დასრულებულია ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლასურიაშისა და სოფელ დეხვირის ხელოვნურსაფარიანი სტადიონების მოწყობის სამუშაოები, რომელიც შეასრულა შპს „თეგეკა უნივერსალი“, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 110 500 ლარს. შესრულებული აქვს 105 692,88 ლარის სამუშაოები, რაც შეადგენს შესრულებული სამუშაოების 95,6%-ს.
4. დასრულებულია ცაგერის მუნიციპალიტეტში სოფელ აღვსა და სოფელ სოფელ ქვედა ცაგერში ხელოვნურსაფარიანი სტადიონების მოწყობის სამუშაოები, რომელიც შეასრულა ი/მ „ზვიად ჭელიძე“ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 104 178,9 ლარს, შესრულებული აქვს 91 383,01 ლარის სამუშაოები, რაც შესრულებულია სამუშაოების 87,7%-ს შეადგენს. გეგმა -გრაფიკის დარღვევისათვის დაჯარიმებულია 2 708,68 ლარით.
5. დასრულებულია ქალაქ ცაგერში აღმაშენებლის ქ. # 77 და # 41-ში ხელოვნურსაფარიანი სტადიონების მოწყობის სამუშაოები, რომელიც შეასრულა შპს „მადლი“. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 137 730,52 ლარს, შესრულებული აქვს 136 785,5 ლარის სამუშაოები. რაც შესრულებული სამუშაოების 99,3%-ს შეადგენს.
6. დასრულებულია სოფელ ზუბისა და ჩხუტელის წყალმომარაგების მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოები. სამუშაოებს ასრულებდა ი/მ „ქუთაისის წყალმშენი“ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 135 900 ლარს. შესრულებული აქვს 121 383,41 ლარის სამუშაოები, რაც შეადგენს 89,3%-ს. გეგმა -გრაფიკის დარღვევისათვის დაჯარიმებულია 18074,7 ლარით.
7. დასრულებულია სოფელ ქვედა ცაგერში „ახალდასახლების“ უბნის გზის მოასფალტების სამუშაოების, რომელიც შესრულა შპს „ხვამლი XXI“. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 788 615 ლარს, შეასრულა 781 122,04 ლარის სამუშაოები, რაც შეადგენს შესრულებული სამუშაოების 99%-ს.
8. დასრულებულია ქ. ცაგერის დასასვენებელი სკვერის მოწყობა, რომლის სამუშაოები შეასრულა „შ.პ.ს“ „TU\_KA“ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 897 99,52 ლარს. შესრულებული აქვს 86 609,06 ლარის სამუშაოები, რაც შეადგენს 96,4%-ს.
9. დასრულებულია ცაგერის მუნიციპალიტეტში სოფელ ქვედა ცაგერში ე.წ. „გიორგობის დელის“ გასწვრივ სოფელ გვესოს მიმართულებით გზის ასფალტის ბეტონის საფარის მოწყობა. რომელიც შეასრულა შ.პ.ს „ელიტ ბილდერს გრუპი“ სახელშეკრულებო

- ღირებულება შეადგენდა 447 716,67 ლარს. შესრულებულია 437801,60 ლარის სამუშაოები, რაც შესრულებული სამუშაოების 97,8 %-ს შეადგენს.
10. დასრულებულია 2017 წლის 11-12 მაისის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების (გზები) სარეაბილიტაციო სამუშაოები (აღვი, ზუბი) რომელიც შეასრულა შპს „მონტეკრისტო“ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 56094 ლარს. შესრულებული აქვს 51914,91 ლარის სამუშაოები, რაც შეადგენს 92,5%-ს. გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის დაჯარიმებულია 1065,9 ლარით.
  11. დასრულებულია 2018 წლის 11-12 მაისის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების (გზები) სარეაბილიტაციო სამუშაოები (კურცობი, ორბელი ლაჯანა.) რომელიც შეასრულა შპს „მონტეკრისტო“ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 146 212 ლარს. შესრულებული აქვს 145 040,42 ლარის სამუშაოები, რაც შეადგენს 99,2%-ს. გეგმა -გრაფიკის დარღვევისათვის დაჯარიმებულია 4093,94 ლარით.
  12. დასრულებულია 2020 წლის 11-12 მაისის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების (გზები) სარეაბილიტაციო სამუშაოები (გაგულეზი, ხოჯი, უცხერი.) რომელიც შეასრულა შპს „ამჯ-ჯგუფი“ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 73245 ლარს. შესრულებული აქვს 71923,78 ლარის სამუშაოები, რაც შეადგენს 98,2%-ს.
  13. დასრულებულია 2019 წლის 11-12 მაისის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების (გზები) სარეაბილიტაციო სამუშაოები (უცხერი, ღვირიში, ნასპერი) რომელიც შეასრულა ი/მ „გიორგი ცხვირავაშვილი“ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 30 752 ლარს. შესრულებული აქვს 30 149,01 ლარის სამუშაოები, რაც შეადგენს შესრულებული სამუშაოების 98%-ს. გეგმა -გრაფიკის დარღვევისათვის დაჯარიმებულია 615 ლარით.
  14. ცაგერის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ შენობაში მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს მოწყობის სამუშაოები, რომელიც შეასრულა ი/მ „ზაალი ყურაშვილი“ სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 45 371 ლარს. შეასრულა 44 361 ლარის სამუშაოები რაც შეადგენს 97,8%-ს.
  15. დასრულებულია მურის ციხესთან მისასვლელი ბილიკები და კიბეების მოწყობა, რომელიც შეასრულა შპს „ჯთბ გოლდენ ეიჯ“ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 397586,25 ლარს. შესრულებული აქვს 393060,4 ლარის სამუშაოები, რაც შეადგენს 98,9%-ს.
  16. დასრულებულია ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ლაცორია, ორბელი, ორხვი, საირმე სურმუში, უცხერი.) სკოლების სარემონტო სამუშაოები, რომელიც შეასრულა ი/მ „გოგა გვიშიანი“ სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 42 774, 72 ლარს. შესრულებული აქვს 41171,57 ლარის სამუშაოები, რაც შეადგენს 96,3%-ს. გეგმა -გრაფიკის დარღვევისათვის დაჯარიმებულია 42,78 ლარით.
  17. დასრულებულია ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლებში (აღვი, დეხვირი, ზუბი, ლუხვანო ნასპერი, ჩხუტელი.) სკოლების სარემონტო სამუშაოები, რომელიც შეასრულა ი/მ „მამუკა ქარსელაძე“ სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 27 789 ლარს. შესრულებული აქვს 26 823, 34 ლარის სამუშაოები, რაც შეადგენს 96,5%-ს. გეგმა -გრაფიკის დარღვევისათვის დაჯარიმებულია 55,58 ლარით.
  18. მიმდინარეობს ქ. ცაგერისა და სოფელ გვესოს საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც ახორციელებდა „ელიტ ბილდერს გრუპი“ სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 143 5178 ლარს. შესრულებული აქვს 128487,89 ლარის სამუშაოები, რაც შეადგენს შესრულებული სამუშაოების 9%-ს.
  19. დასრულებულია კურორტ „ლაშიჭალის“ ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული გზის შეკეთების სამუშაოები, რომელიც შეასრულა შპს „დათი“ სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 98 200 ლარს. შესრულებული აქვს 77035,01 ლარის სამუშაოები, რაც შეადგენს 78,4%-ს.

20. დასრულებულია ქალაქ ცაგერში თამარ მეფის ქუჩის ჩიხში კანალიზაციის ქსელის მოწყობის სარემონტო სამუშაოები, რომელიც შეასრულა შპს „მონტეკრისტო“. სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 36282,53 ლარს. შესრულებულია აქვს 35759,09 ლარის სამუშაოები, რაც შესრულებული სამუშაოს შეადგენს 98,6%-ს.
21. დასრულებულია სოფელ უსახელოში სოფლის ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია რომელიც შეასრულა შპს „ევროტექნისი“ სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 159032,9 ლარს. შესრულებული აქვს 146802,87 ლარის სამუშაოები, რაც შეადგენს 92,3%-ს. გეგმა -გრაფიკის დარღვევისათვის დაჯარიმებულია 2226,42 ლარით.
22. მიმდინარეობს ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალისთავის, წიფერჩის, ბარდნალის ლარჩვალის და ქვედა ცაგერის ნაწილის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები, რომელსაც ახორციელებს შპს „უნივერსალ სერვისი“. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 1,599 529, 31 ლარს, შესრულებული აქვს 17 7976,19 ლარის სამუშაოები, რაც შეადგენს 11,1%-ს.
23. მიმდინარეობს სოფელ სპათაგორში სოფლის ცენტრის და სკოლის ლემკედის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. რომელსაც ახორციელებს შპს „ელიტ ბილდერს ჯგუფი“ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 372439,63 ლარს, შესრულებული აქვს 137238,54 ლარის სამუშაოები, რაც შეადგენს შესასრულებელი სამუშაოების 36,8%-ს.
24. დასრულებულია ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საირმეში ბუნებრივ სვეტებიან ძეგლთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია, რომელიც შეასრულა შპს „ჯთბ გოლდენ ეიჯ“ სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 293999,69 ლარს. შესრულებული აქვს 292 710,12 ლარის სამუშაოები, რაც შესრულებული სამუშაოების 99,6%-ს შეადგენს.
25. დასრულებულია 2017 წლის 11-12 მაისის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული სოფელ ოყურემის სასოფლო გზის რეაბილიტაცია, რომელიც შეასრულა შპს „ხვამლი“ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 21 422 ლარს. შესრულებული აქვს 21001,96 ლარის სამუშაოები რაც შეადგენს 98%-ს.
26. მიმდინარეობს სოფელ ორბელში, ზედა ორბელში „ჩეროს“ უბანში და „სვანიძეების“ უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, რომელსაც ახორციელებს შპს „მეკა“ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 618586 ლარს, შესრულებული აქვს 202534 ლარის სამუშაოები, რაც შესასრულებელი სამუშაოების 32,7%-ია.
27. მიმდინარეობს სოფელ ჩხუტელში ასფალტირებული ცენტრალური გზიდან საჯარო სკოლის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, რომელსაც ახორციელებს შპს „კრისტალი“ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 318603 ლარს, შესრულებული აქვს 50447,94 ლარის სამუშაოები, რაც შესასრულებელი სამუშაოების 15,8%-ია.
28. დასრულებულია სოფელ უსახელოს შიდა სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოები, რომელიც შეასრულა შპს „დათი“ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 8876,95 ლარის სამუშაოები. რაც შესრულებულია 100%-ით.
29. ცაგერის მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების მოვლა-შენახვისათვის გამოყოფილი იყო 18918,82 ლარი, რომელის ტენდერში გამარჯვებული იყო შპს „დათი“.

2020 წელს სულ გაფორმებული იყო ხელშეკრულება 8291940,41 ლარის ოდენობით, სადაც საკასო შესრულება იყო 4412051,3 ლარის ოდენობით, რაც შესასრულებელი სამუშაოების 53,2%-ს შეადგენდა. გეგმა გრაფიკის დარღვევისთვის გამოვლენილი ჯარიმების რაოდენობა 28883 ლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ მეტი ყურადღება დაუთმოს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების ვადებისა და ხარისხის კონტროლს.